საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2680 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2014 წლის 13 მაისს გაფორმებული „ფინანსური პროტოკოლით“ განსაზღვრული ქალაქ ჭიათურაში მდებარე ქალაქის ცენტრის პერიფერიებთან დამაკავშირებელი ურბანული მექანიკური საბაგიროების აღჭურვილობის განახლების პროექტის შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2014 წლის 13 მაისს გაფორმებული „ფინანსური პროტოკოლით“ განსაზღვრული ქალაქ ჭიათურაში მდებარე ქალაქის ცენტრის პერიფერიებთან დამაკავშირებელი ურბანული მექანიკური საბაგიროების აღჭურვილობის განახლების პროექტის შესახებ.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აწარმოოს კონსულტაციები საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასთან საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2014 წლის 13 მაისს გაფორმებული „ფინანსური პროტოკოლით“ განსაზღვრული ქალაქ ჭიათურაში მდებარე ქალაქის ცენტრის პერიფერიებთან დამაკავშირებელი ურბანული მექანიკური საბაგიროების აღჭურვილობის განახლების

პროექტისათვის კონტრაქტების რეგისტრაციის ვადის 2017 წლის 31 აგვისტომდე და საფრანგეთის ხაზინის მიერ გამოყოფილი სესხის ფარგლებში თანხების გამოთხოვის ვადის 2017 წლის 31 დეკემბრამდე გადაწევასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**